დამტკიცებულია
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი
,,ახალი ტალღა“
დირექტორის
2019 წლის 05 მარტის
N 01-04/35 ბრძანებით

საქართველოს განათლების,მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სამინისტრო
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ახალი ტალღა“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მშენებლობის წარმოება-
თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი

040688

საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი: ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154
ელ-ფოსტა: ccnewwave@gmail.com
T – (426) 26 68 51
www.kpc.ge
პროგრამის ხელმძღვანელი: რომან მემარნე

ქობულეთი

2019

1. **ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამა:** მშენებლობის წარმოება - Construction Manufacturing

2. **სარეგისტრაციო ნომერი:** 07320-3

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცა:**

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში / Basic Vocational Qualification in Wall Covering Works

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია - კოდი 0732. აღმწერი - „შეისწავლის საჯარო (საზოგადოებრივი), კომერციული, ინდუსტრიული და საცხოვრებელი სტრუქტურების (ასევე მათი აღჭურვის) მონტაჟის, აგებისა და ტექნიკური მომსახურების მეცნიერებას, ტექნოლოგიებსა და ტექნიკას/მეთოდებს. სამოქალაქო ინჟინერია შეისწავლის დიდი ზომის შენობა-ნაგებობებისა და სტრუქტურების, მათ შორის სატრანსპორტო სისტემების, წყალმომარაგებისა და არინების და ა.შ. დაგეგმვას, პროექტირებას, ტესტირებასა და მშენებლობის ხელმძღვანელობას“.

4. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**
უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება კედლის დაფარვის სამუშაოების კვალიფიკაციის მიმართულებით.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** - საბაზო განათლება

6. **დასაქმების შესაძლებლობები**

„კედლის დაფარვის სამუშაოებში“ საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შეიძლება დასაქმდეს სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე ღია ან/და დახურულ სივრცესა და სიმაღლეზე. ის შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარემონტო და დიზაინერულ კომპანიებში, სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებული იქნება შენობა-ნაგებობის მშენებლობასა ან მის რეკონსტრუქცია-გაძლიერებასთან. მას სამუშაოების შესრულება მოუწევს სხვადასხვა კლიმატის პირობებში. დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს: საბათქაშე სამუშაოების შემსრულებელი; თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების (კედელი, ჭერი და სხვ.) მომწყობი; სამღებრო სამუშაოების შემსრულებელი; სამუშაო რგოლის უფროსი; ბრიგადის უფროსი.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 43
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7123; 7131; 7125

7. **სტრუქტურა და მოდულები:**

საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ მოიცავს 7 ზოგად სავალდებულო მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით, 3 საერთო დარგობრივ მოდულს ჯამური 5 კრედიტის ოდენობით და 5 სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამური 35 კრედიტის ოდენობით. კედლის დაფარვის სამუშაოებში მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს - **58 კრედიტი.**

მოდულების, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით.

აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

მათთვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 73 კრედიტს. მათ შორის, 15 კრედიტი განკუთვნილია ,,ქართული ენა A2” მოდულის სწავლებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს „გაცნობითი პრაქტიკის“ სახით. გაცნობითი პრაქტიკის მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა სამშენებლო სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4	სამოქალაქო განათლება	2
5	მეწარმეობა 1	2
6	უცხოური ენა	4
7	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
ჯამი:		**18**
საერთო პროფესიული/დარგობრივი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა მშენებლობის წარმოებაში	1
2	მშენებლობის საფუძვლები	1
3	სამშენებლო ნახაზების კითხვა	3
ჯამი:		**5**
თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის სპეციალიზაციის მოდულები		

№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ტიხრების კონსტრუქციის მონტაჟი	6
2	კედლის კონსტრუქციის მონტაჟი	7
3	შეკიდული ჭერებისა და მანსარდის მონტაჟი	10
4	ასაწყობი იატაკის მონტაჟი	4
5	მრუდწირული კონსტრუქციების აგება	8
ჯამი:		35
სულ კრედიტების ჯამი		58

8. **მისანიჭებელი კვალიფიკაციის სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეასრულოს თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების სამონტაჟო სამუშაოები;
2. განახორციელოს კარკასზე, კონსტრუქციაზე ფილების დამონტაჟება;
3. შეასრულოს შეკიდული ჭერებისა და მანსარდის სამონტაჟო სამუშაოებიუსაფრთხოების ნორმების დაცვით;
4. შეასრულოს ასაწყობი იატაკის სამონტაჟო სამუშაოები;
5. ააგოს მრუდწირული კონსტრუქციები.

9. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება**

შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ 53,75% სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენის კომპეტენციის შეფასების მიდგომებს.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.
სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.
მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომელიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტნციიდან ერთ-ერთის მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ქართული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ პრეროგატივაა.

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 53,75% რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროგრამის შემუშავების შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის №844 ბრძანებით დამტკიცებული ოპტიმიზირებული ჩარჩო დოკუმენტი - ,,მშენებლობის წარმოება“, რომელშიც ცვლილება შევიდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვარი N 85/ი ბრძანებით.

14. საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც ხელშეკრულებების მეშვეობით უზრუნველყოფილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება: შპს ,,ანაგი", შპს „ორბი ჯგუფი“

დანართი №1 - სასწავლო გეგმა;
დანართი №2 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;

დანართი №3 - გამიჯნული სწავლის შედეგები: კოლეჯი - კომპანია;
დანართი №4 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი

დანართი №5 - უცხოური (ინგლისური) ენა
დანართი №6 - რაოდენობრივი წიგნიერება
დანართი №7 - ინტერპერსონალური კომუნიკაცია
დანართი №8 - მეწარმეობა 1
დანართი №9 - სამოქალაქო განათლება

დანართი №10 - გარემოსდაცვითი საფუძვლები
დანართი №11 - ინფორმაციული წიგნიერება 1;
დანართი №12 - გაცნობითი პრაქტიკა
დანართი №13 - მშენებლობის საფუძვლები
დანართი №14 - სამშენებლო ნახაზების კითხვა
დანართი №15 - ტიხრების კონსტრუქციის მონტაჟი
დანართი №16 - კედლის კონსტრუქციის მონტაჟი
დანართი №17 - შეკიდული ჭერებისა და მანსარდის მონტაჟი
დანართი №18 - ასაწყობი იატაკის მონტაჟი
დანართი №19 - მრუდწირული კონსტრუქციების აგება
დანართი №20 - ქართული ენა A 2